ბ.ე) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05). აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

- ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 1 000 ლარი;
- ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;
- გ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება – კვარტალში ერთხელ 400 ლარი;
- დ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;
- ე) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.
- ვ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;
- ზ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება – 2000 ლარი;
- თ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერემბრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;

- ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონკრეტული, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;
- კ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.
- ლ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;
- მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა
- ნ) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა
- ო) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.
- პ) 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.
- ჟ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.
- რ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა.
- ს) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 1500 ლარი
- ტ)) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 1500 ლარი.
- უ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.
- ფ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.
- ქ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა
- ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწასებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ყ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.

შ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

ჩ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ც) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ბ.ვ) ქვეპროგრამა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06).
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 16 თანამშრომელი (ქალი - 11, კაცი - 5).
მიზანია: შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ბ.ზ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან

სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების, სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (Ic -10) განვითარების ზოგადი აშლილობების (84.0 - 84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:

- ა) 84.0 ბავშვთა აუტიზმი.
- ბ) 84.1 ატიპიური აუტიზმი.
- გ) 84.2 რეტის სინდრომი.
- დ) 84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.
- ე) 84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და

სტერეოტიპული მოძრაობებით.

- ვ) 84.5 ასპერგერის სინდრომი.
- ზ) 84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.
- თ) 84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:

ა) 78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.

ბ) 78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.

გ) 78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.

დ) 78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონლური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.

ბ.თ) ქვეპროგრამა: სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08). აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2023 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს - 5000 ლარი.

დახმარება ვრცელდება 2022 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა.

ბ.ი) ქვეპროგრამა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 09).

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იკპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.

ქვეპროგრამის მიზანია: გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული საჭიროებების კვლევა.

ბ.კ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შექმნა (პროგრამული კოდი 06 02 10). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 12000-ის ჩათვლით) ოჯახების მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შექმნა, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების ხარისხის

მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია, ექვემდებარება დემონტაჟს და არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.
 ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა.

ბ.ლ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია.
 ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა.

6. პრიორიტეტი: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00).

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. ასევე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება.

თავი III. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	36 345,2	8 271,3	28 073,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	184,0	0,0	184,0
	ხარჯები	25 009,3	2 263,7	22 745,5
	შრომის ანაზღაურება	4 305,3	140,5	4 164,8
	საქონელი და მომსახურება	3 385,5	65,9	3 319,6

	პროცენტი	17,4	0,0	17,4
	სუბსიდიები	11 581,7	139,9	11 441,8
	გრანტები	1 455,0	0,0	1 455,0
	სოციალური უზრუნველყოფა	1 537,6	33,7	1 503,9
	სხვა ხარჯები	2 726,7	1 883,8	843,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11 280,3	6 007,5	5 272,8
	ვალდებულებების კლება	55,6	0,0	55,6
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6 328,0	194,4	6 133,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	184,0	0,0	184,0
	ხარჯები	6 132,2	192,7	5 939,5
	შრომის ანაზღაურება	4 305,3	140,5	4 164,8
	საქონელი და მომსახურება	1 492,4	50,5	1 441,9
	პროცენტი	17,4	0,0	17,4
	გრანტები	20,0	0,0	20,0
	სოციალური უზრუნველყოფა	42,6	1,7	40,9
	სხვა ხარჯები	254,5	0,0	254,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	140,2	1,7	138,5
	ვალდებულებების კლება	55,6	0,0	55,6
01 01	საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა	6 228,0	194,4	6 033,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	184,0	0,0	184,0
	ხარჯები	6 032,2	192,7	5 839,5
	შრომის ანაზღაურება	4 305,3	140,5	4 164,8
	საქონელი და მომსახურება	1 492,4	50,5	1 441,9
	პროცენტი	17,4	0,0	17,4
	გრანტები	20,0	0,0	20,0
	სოციალური უზრუნველყოფა	42,6	1,7	40,9
	სხვა ხარჯები	154,5	0,0	154,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	140,2	1,7	138,5
	ვალდებულებების კლება	55,6	0,0	55,6
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 587,7	0,0	1 587,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	38,0		38,0
	ხარჯები	1 577,7	0,0	1 577,7
	შრომის ანაზღაურება	1 042,3	0,0	1 042,3
	საქონელი და მომსახურება	383,4	0,0	383,4
	სოციალური უზრუნველყოფა	2,0	0,0	2,0

	სხვა ხარჯები	150,0	0,0	150,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	0,0	10,0
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	4 417,9	0,0	4 417,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	139,0		139,0
	ხარჯები	4 233,8	0,0	4 233,8
	შრომის ანაზღაურება	3 122,5	0,0	3 122,5
	საქონელი და მომსახურება	1 030,5	0,0	1 030,5
	პროცენტი	17,4	0,0	17,4
	გრანტები	20,0	0,0	20,0
	სოციალური უზრუნველყოფა	38,9	0,0	38,9
	სხვა ხარჯები	4,5	0,0	4,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128,5	0,0	128,5
	ვალდებულებების კლება	55,6	0,0	55,6
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	194,4	194,4	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0		7,0
	ხარჯები	192,7	192,7	0,0
	შრომის ანაზღაურება	140,5	140,5	0,0
	საქონელი და მომსახურება	50,5	50,5	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	1,7	1,7	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,7	1,7	0,0
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება	28,0	0,0	28,0
	ხარჯები	28,0	0,0	28,0
	საქონელი და მომსახურება	28,0	0,0	28,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	100,0	0,0	100,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	100,0	0,0	100,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	100,0	0,0	100,0
	სხვა ხარჯები	100,0	0,0	100,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 060,4	7 823,1	9 237,4
	ხარჯები	6 500,2	1 898,8	4 601,4
	საქონელი და მომსახურება	1 384,3	15,0	1 369,3
	სუბსიდიები	1 457,6	0,0	1 457,6
	გრანტები	1 435,0	0,0	1 435,0

	სხვა ხარჯები	2 223,2	1 883,8	339,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10 560,3	5 924,3	4 636,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9 079,6	5 223,4	3 856,2
	ხარჯები	1 890,5	14,9	1 875,6
	საქონელი და მომსახურება	505,5	14,9	490,6
	გრანტები	1 385,0	0,0	1 385,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 189,1	5 208,5	1 980,6
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	8 579,6	5 214,1	3 365,5
	ხარჯები	1 390,6	5,6	1 385,0
	საქონელი და მომსახურება	5,6	5,6	0,0
	გრანტები	1 385,0	0,0	1 385,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 189,0	5 208,5	1 980,5
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	492,8	9,3	483,5
	ხარჯები	492,8	9,3	483,5
	საქონელი და მომსახურება	492,8	9,3	483,5
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	7,1	0,0	7,1
	ხარჯები	7,1	0,0	7,1
	საქონელი და მომსახურება	7,1	0,0	7,1
02 01 04	ხიდების და ბოგიერების მშენებლობა	0,1	0,0	0,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,1	0,0	0,1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 407,2	3,8	1 403,4
	ხარჯები	159,1	0,0	159,1
	საქონელი და მომსახურება	159,1	0,0	159,1
	სუბსიდიები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 248,2	3,8	1 244,4
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	324,2	3,1	321,1
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	324,2	3,1	321,1
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1 083,1	0,7	1 082,3
	ხარჯები	159,1	0,0	159,1
	საქონელი და მომსახურება	159,1	0,0	159,1
	სუბსიდიები	0,0		

	არაფინანსური აქტივების ზრდა	924,0	0,7	923,3
02 03	გარე განათება	956,0	0,0	956,0
	ხარჯები	700,0	0,0	700,0
	საქონელი და მომსახურება	700,0	0,0	700,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	256,0	0,0	256,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	700,0	0,0	700,0
	ხარჯები	700,0	0,0	700,0
	საქონელი და მომსახურება	700,0	0,0	700,0
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	256,0	0,0	256,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	256,0	0,0	256,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2 086,6	1 885,6	201,1
	ხარჯები	1 921,8	1 883,8	38,1
	საქონელი და მომსახურება	19,6	0,0	19,6
	სხვა ხარჯები	1 902,2	1 883,8	18,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	164,8	1,8	163,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	321,0	0,0	321,0
	ხარჯები	321,0	0,0	321,0
	სხვა ხარჯები	321,0	0,0	321,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 947,8	0,0	1 947,8
	ხარჯები	1 457,6	0,0	1 457,6
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	1 457,6	0,0	1 457,6
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	490,2	0,0	490,2
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	488,8	0,0	488,8
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	488,8	0,0	488,8
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	1 459,0	0,0	1 459,0
	ხარჯები	1 457,6	0,0	1 457,6
	სუბსიდიები	1 457,6		1 457,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,4	0,0	1,4
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	711,9	710,2	1,7
	ხარჯები	0,1	0,1	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,1	0,1	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	711,8	710,1	1,7
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	128,3	0,0	128,3

	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128,3	0,0	128,3
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	116,0	0,0	116,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	116,0	0,0	116,0
02 10	მოქალაქეთა ჩართულობა	255,9	0,0	255,9
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	255,9	0,0	255,9
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	50,0	0,0	50,0
	გრანტები	50,0	0,0	50,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 030,4	0,0	2 030,4
	ხარჯები	1 925,5	0,0	1 925,5
	საქონელი და მომსახურება	54,5	0,0	54,5
	სუბსიდიები	1 871,0	0,0	1 871,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104,9	0,0	104,9
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	50,0	0,0	50,0
	საქონელი და მომსახურება	50,0	0,0	50,0
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 895,9	0,0	1 895,9
	ხარჯები	1 871,0	0,0	1 871,0
	სუბსიდიები	1 871,0		1 871,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,9	0,0	24,9
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	4,5	0,0	4,5
	ხარჯები	4,5	0,0	4,5
	საქონელი და მომსახურება	4,5	0,0	4,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი	80,0	0,0	80,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	80,0	0,0	80,0
04 00	განათლება	4 412,3	81,9	4 330,4
	ხარჯები	4 320,8	0,4	4 320,4
	საქონელი და მომსახურება	0,4	0,4	0,0
	სუბსიდიები	4 320,4	0,0	4 320,4

	არაფინანსური აქტივების ზრდა	91,6	81,6	10,0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	4 330,4	0,0	4 330,4
	ხარჯები	4 320,4	0,0	4 320,4
	სუბსიდიები	4 320,4		4 320,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	0,0	10,0
04 02	საჯარო სკოლების მოწვევლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	81,9	81,9	0,0
	ხარჯები	0,4	0,4	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,4	0,4	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	81,6	81,6	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3 993,0	0,0	3 993,0
	ხარჯები	3 630,9	0,0	3 630,9
	საქონელი და მომსახურება	447,0	0,0	447,0
	სუბსიდიები	3 179,9	0,0	3 179,9
	სხვა ხარჯები	4,0	0,0	4,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	362,1	0,0	362,1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 720,2	0,0	1 720,2
	ხარჯები	1 380,9	0,0	1 380,9
	საქონელი და მომსახურება	298,5	0,0	298,5
	სუბსიდიები	1 079,9	0,0	1 079,9
	სხვა ხარჯები	2,5	0,0	2,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	339,3	0,0	339,3
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	30,0	0,0	30,0
	ხარჯები	30,0	0,0	30,0
	საქონელი და მომსახურება	27,5	0,0	27,5
	სხვა ხარჯები	2,5	0,0	2,5
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 690,2	0,0	1 690,2
	ხარჯები	1 350,9	0,0	1 350,9
	საქონელი და მომსახურება	271,0	0,0	271,0
	სუბსიდიები	1 079,9	0,0	1 079,9
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	339,3	0,0	339,3
05 01 02 01	წყალტუბო არენა	164,9	0,0	164,9
	ხარჯები	164,9	0,0	164,9
	სუბსიდიები	164,9		164,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	920,0	0,0	920,0

	ხარჯები	915,0	0,0	915,0
	სუბსიდიები	915,0		915,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,0	0,0	5,0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	605,3	0,0	605,3
	ხარჯები	271,0	0,0	271,0
	საქონელი და მომსახურება	271,0	0,0	271,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	334,3	0,0	334,3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 252,8	0,0	2 252,8
	ხარჯები	2 230,0	0,0	2 230,0
	საქონელი და მომსახურება	128,5	0,0	128,5
	სუბსიდიები	2 100,0	0,0	2 100,0
	სხვა ხარჯები	1,5	0,0	1,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22,8	0,0	22,8
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 022,8	0,0	2 022,8
	ხარჯები	2 000,0	0,0	2 000,0
	სუბსიდიები	2 000,0	0,0	2 000,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22,8	0,0	22,8
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	689,5	0,0	689,5
	ხარჯები	676,7	0,0	676,7
	სუბსიდიები	676,7		676,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,8	0,0	12,8
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1 183,3	0,0	1 183,3
	ხარჯები	1 183,3	0,0	1 183,3
	სუბსიდიები	1 183,3		1 183,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	150,0	0,0	150,0
	ხარჯები	140,0	0,0	140,0
	სუბსიდიები	140,0		140,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	0,0	10,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	130,0	0,0	130,0
	ხარჯები	130,0	0,0	130,0
	საქონელი და მომსახურება	128,5	0,0	128,5
	სხვა ხარჯები	1,5	0,0	1,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	0,0	100,0

	ხარჯები	100,0	0,0	100,0
	სუბსიდიები	100,0		100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0	0,0	20,0
	ხარჯები	20,0	0,0	20,0
	საქონელი და მომსახურება	20,0	0,0	20,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 521,1	171,9	2 349,2
	ხარჯები	2 499,8	171,9	2 327,9
	საქონელი და მომსახურება	7,0	0,0	7,0
	სუბსიდიები	752,8	139,9	612,9
	სოციალური უზრუნველყოფა	1 495,0	32,0	1 463,0
	სხვა ხარჯები	245,0	0,0	245,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21,3	0,0	21,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	182,0	139,9	42,1
	ხარჯები	172,5	139,9	32,6
	სუბსიდიები	172,5	139,9	32,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,5	0,0	9,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	182,0	139,9	42,1
	ხარჯები	172,5	139,9	32,6
	სუბსიდიები	172,5	139,9	32,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,5	0,0	9,5
06 02	სოციალური პროგრამები	2 339,1	32,0	2 307,1
	ხარჯები	2 327,3	32,0	2 295,3
	საქონელი და მომსახურება	7,0	0,0	7,0
	სუბსიდიები	580,3	0,0	580,3
	სოციალური უზრუნველყოფა	1 495,0	32,0	1 463,0
	სხვა ხარჯები	245,0	0,0	245,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,8	0,0	11,8
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	385,0	0,0	385,0
	ხარჯები	375,0	0,0	375,0
	სუბსიდიები	375,0		375,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	0,0	10,0
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	3,0	0,0	3,0
	ხარჯები	3,0	0,0	3,0
	სოციალური უზრუნველყოფა	3,0	0,0	3,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	115,0	0,0	115,0

	ხარჯები	115,0	0,0	115,0
	სოციალური უზრუნველყოფა	115,0	0,0	115,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	17,0	7,0	10,0
	ხარჯები	17,0	7,0	10,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	0,0		
	სოციალური უზრუნველყოფა	17,0	7,0	10,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	690,0	0,0	690,0
	ხარჯები	690,0	0,0	690,0
	სოციალური უზრუნველყოფა	685,0	0,0	685,0
	სხვა ხარჯები	5,0	0,0	5,0
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	207,1	0,0	207,1
	ხარჯები	205,3	0,0	205,3
	სუბსიდიები	205,3		205,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,8	0,0	1,8
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	625,0	0,0	625,0
	ხარჯები	625,0	0,0	625,0
	სოციალური უზრუნველყოფა	625,0	0,0	625,0
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	140,0	0,0	140,0
	ხარჯები	140,0	0,0	140,0
	სხვა ხარჯები	140,0	0,0	140,0
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7,0	0,0	7,0
	საქონელი და მომსახურება	7,0	0,0	7,0
06 02 10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შექმნა	100,0	0,0	100,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	100,0	0,0	100,0
06 02 11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება	50,0	25,0	25,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0

თავი IV. მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მოხელეთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში 28,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 17. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18.

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. ასიგნებების დაფინანსება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 20. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის 6-ე პუნქტის შესაბამისად წლიური ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

4. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს, ქვეპროგრამებს/ღონისძიებებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება (მათ შორის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა), შესაძლებელია განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე;

5. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები (მათ შორის: პროგრამული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ გადასახდელებში და შემოსულობებში. განხორციელებული ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, ცნობის სახით უნდა წარედგინოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

6. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვების დაზუსტება მათთვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

7. ამ მუხლის 2-5 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, განწერით დამტკიცებული ასიგნებების დაზუსტების მიზნით ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-Budget). ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობას ადასტურებენ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი. აღნიშნულ ცნობას ენიჭება თარიღი და ნომერი.

მუხლი 22. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 365,0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 139,9 ათ ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 193,1 ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 7,0 ლარი.

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 25,0 ათ ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 23. სარეზერვო ფონდი

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 100,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.